

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს 2021 - 2022 წლის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“ ემსახურება მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მოსწავლე ახალგაზრდობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებას და არჩეული სპორტის სახეობაში შექმნილი სპორტული მომზადების, ცოდნისა და უნარ - ჩვევების რეალიზებას.

ადგილობრივი შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“- ში ფუნქციონირებს სპორტის 14 სახეობა და 29 სპორტული სექცია.

სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 450 მოსწავლე.

დღეის მდგომარეობით სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი , ჭადრაკი და შაში,ძიუ-დო ,თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სამბო, კარატე ტაიკვანდო, კარატე კუნგ-ფუ-სანდა, სპორტული კარატე , მძლეოსნობა, მკლავჭიდი .

სულ 29 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში, ვახანში და მოლითში.

სამწვრთნელო პროცესი ტარდება კვირაში 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, მათ შორის 37 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 29 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 373 955 ლარს, საკუთარი შემოსავალია 7 893, აქედან 5750 ლარი ჩარიცხულია ფეხბურთის განვითარების ფონდიდან შესაბამისი სპორტული ინვენტარის შესაძენად, 2 143 ლარი მიღებულია სტადიონის არენდიდან და ტრენაჟორების დარბაზის მომსახურებიდან.

ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე გეგმით უნდა გახარჯულიყო 339 485 , ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 339 484 ლარი.

სამივლინებო თანხებმა გეგმით შეადგინა 1 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 1 794 ლარი.

ოფისის ხარჯი გეგმით შეადგენს 10 205 ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 10 117 ლარი.

რბილი ინვენტარი - 5 237 ლარი

ტრანსპორტი -2 665 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 4 004 ლარი

სოციალური - 1630 ლარი

სხვა ხარჯები (ერთჯერადი ფულადი ჯილდო და ბავშვების მივლინების ხარჯი , კვება ტრანსპორტირება, საწევრო) - 8 610 ლარი

შენობა ნაგებობის ხარჯი - 165 ლარი

წარმომადგენლობითი ხარჯი - 250 ლარი

2022 წლის მაისის ჩათვლით ბიუჯეტის ხარჯია - 188 478 ლარი, აქედან

შრომის ანაზღაურება - 169 159 ლარი

მივლინებები -783 ლარი

ოფისის ხარჯი - 5 209 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი - 18 73 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 428 ლარი

სხვა ხარჯები (ჯილდო და ბავშვების მივლინების და კვების ხარჯი) - 11 026 ლარი

საკუთარი შემოსავალია - 1 832 ლარი, აქედან 600 ლარი გახარჯულია ტრანსპორტის ხარჯზე.

2021 წელს ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა პანდემიის გამო, სრული დატვირთვით ვერ მოახერხა მუშაობა, თუმცა შეძლებისდაგვარად გარკვეული ღონისძიებები ჩაატარა.

2021 წლის 4 აპრილი - მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში დიდებს შორის.

2021 წლის 14 აპრილი - მუნიციპალიტეტის პირველობა გრეპეტბოლში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის.

2021 წლის 28 მაისი - მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში მოსწავლეთა შორის.

2021 წლის 9 ივნისი - მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის.

2021 წლის 11 ივნისი - მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის.

2021 წლის 18 ივნისი - მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის 45 +

2021 წლის 23 ივნისი - მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

2021 წლიუს 28 ივნისი - მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში დიდებს შორის.

2021 წლის 7 ივლისი - მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში უბნებს შორის.

2021 წლის 28 აგვისტო - თანამონაწილეობა ტრადიციულ დოლსა და ქართულ ჭიდაობაში სოფელ ვახანში.

2021 წლის 30 სექტემბერი - მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში დიდებს შორის.

2021 წლის 8 ოქტომბერი - მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის.

2021 წლის 15 ოქტომბერი - ევროპულ სპორტულ კვირეულთან დაკავშირებული მუნიციპალიტეტის პირველობა გრეპეტბოლში.

2021 წელს ჩვენი ცენტრის სპორსმენებმა როგორც მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, ასევე საქართველოს ფარგლებ გარეთაც წარმატებით იასპარეზეს.

2021 წლის 10-12 მარტი საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

2021 წლის 20-23 მარტი საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის ქალაქი თბილისი

2021 წლის 3 აპრილი - ტაიკვანდოში იუნიორთა შეკრება ქალაქი თბილისი

2021 წლის 10 აპრილი - ქალაქ თერჯოლაში ჩატარდა ტურნირი ძიუდოში

2021 მაისი - გარი სორდიას თასის გათამაშება U-12

2021 წლის 27 – 29 მაისი - ქალაქი ქუთაისი ირაკლი წოწონავას რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

4-6 ივნისი ქალაქი ბათუმი ეროვნული ჩემპიონატი ტაეკვანდოში

2021 წლის 5-6 ივნისი - გიორგი ხინჩეგაშვილის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

2021 წლის 27 ივნისი ქალაქი ზუგდიდი - მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება ძიუდოში

2021 წლის 1 ივლისს წეროვანში ვაჟ კალათბურთელთა საწვრთნელი შეხვედრა U-17

2021 წლის 17 ივლისი ქალაქი ქუთაისი - კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ძიუდოში

2021 წლის 23 ოქტომბერი - ქალაქი თბილისი ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის ტურნირი ძიუდოში

2021 წლის 19-21 ნოემბერი ქალაქი თბილისი - ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

2021 წლის 2-3 დეკემბერი ქალაქი თბილისი - მიხეილ სალადის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

2021 წლის 22 – 25 დეკემბერი - ქალაქი ბათუმი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ევსემ შველიძემ დაიკავა II ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო

900 ლარი.

ზაურ ბერაძემ დაიკავა III ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო

700 ლარი.

2022 წლის 30-31 იანვარი ქალაქი რუსთავი - საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ევსემ შველიძემ დაიკავა I ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო 3000 ლარი.

2022 წლის 11-12 მარტი - ბულგარეთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ევსემ შველიძემ დაიკავა II ადგილი და გადაეცა 3000 ლარი.

2022 წლის 29-30 აპრილი ქალაქი ოზურგეთი - საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის, ვახო ნიქაბაძემ დაიკავა III ადგილი და გადაეცა ფულადი ჯილდო 600 ლარი.

2022 წლის 13 აპრილს დაიწყო და გრძელდება გივი ნოდის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში U-13

2022 წლის 4 მარტი - მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის (ბორის საჯარო სკოლა)

2022 წლის 23 მარტი - მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში (უფროსი ასაკი).

2022 წლის 25 მარტი - მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის ვერტყვიჭალაში.

2022 წლის 1 აპრილი - შოთიკო ჭიპაშვილის და ალექო ავალიშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფრეხბურთში.

2022 წლის 8 აპრილი - მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 15 აპრილი - მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 20 აპრილი ლაშა კურტანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში.

2022 წლის 4 მაისი მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის.

2022 წლის 13 ივნისს დაიწყო მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის.

ტურიზმის კუთხით ჩატარებული ღონისძიებები:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს

ტურიზმის მიმართულებით 2021 წელს ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში.

მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში არსებული კორონა ვირუსის პანდემიის გამო, დაწესებული შეზღუდვების შედეგად არ მოგვეცა საშუალება ჩავვეტარებინა ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილი გვქონდა წლის განმავლობაში.

2021 წელის თებერვლის თვეში ჩავატარეთ ონლაინ ფოტოკონკურსი ზამთარი ხარაგაულში. კონკურსზე წარმოდგენილი იყო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაღებული ფოტო მასალა

„ზამთრის პეიზაჟი“. ღონისძიება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო.

მარტის თვეში მოვახდინეთ დევის ხვრელის, ცაშეკრულოს კანიონის, ჩხერის ციხის, ვახანის, ციხის მისასვლელი გზის დასუფთავება და მარკირება.

აპრილისა და მაისის თვეში ჩავატარეთ ონლაინ ფოტოკონკურსი „ჩვენი თვალით დანახული გაზაფხული ხარაგაულში“.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაღებული გაზაფხულის ამსახველი ფოტო მასალა.

ივნისის თვეში ჩავატარეთ მოყვარულთა შეჯიბრი სპორტულ თევზაობაში სოფ. ლელვანში არსებულ ტბაზე „იღბლიანი ანკესი“.

ივნისის თვეში ჩავატარეთ მხატვართა კონკურსი ხარაგაულელ მოსწავლეთა შორის. მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლის 28 მოსწავლე. ასევე დევის ხვრელში მოეწყო ლაშრობა კიციხის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. ბორჯომ ხარაგაულის ეროვნულ პარკში „ხერგილზე“ კიციხის და ვარძიის საჯარო სკოლის მოსწავლეები .

ივლისის თვეში ქუცუმას მთაზე, კოზმანის სალოცავზე და უბისის მონასტერში ერთ დღიან ლაშქრობაზე მარელისის კიციხის და საღანძილის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ჩავატარეთ შეხვედრა სტუდენტებთან.

ოქტომბრის თვეში მოეწყო ლაშქრობა სოფელ სახვლარში სტუდენტებთან ერთად ორი დღით .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა (ა) ი.პ „ სპორტისა დაშიდა ტურიზმის ცენტრი“-ს

ტურიზმის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების 2022 წლის შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიში.

მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში არსებული კორონა ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად 2022 წლის იანვრის თვეში დაგეგმილი სამუშაოები არ შესრულდა.

2022 წლის თებერვლის თვეში „რუსთავი 2“-ს ჟურნალისტებს გავაცანით იმერული სამზარეულო. სოფ. ბოლოდიანში (ოკიშურა) ნინო ხარაძის ოჯახში.

მარტის თვეში გაკეთდა კოლაჟი „ასე ლამაზად ვაცილებთ ზამთარს“. კოლაჟში წარმოდგენილია მარელისის ხერგილი და ნუნისის ბუნება.

რუბრიკაში „გამოჩენილ ხარაგაულელების შესახებ“ ინტერვიუ დამსახურებულ პედაგოგ ვერა ჩუბინიძესთან, რომელმაც მოგვითხრო ისტორია დამსახურებულ პედაგოგსა და ღვაწლმოსილ ქალბატონ ენდი ბუაჩიძის შესახებ.

აპრილის თვეში კიცხის საჯარო სკოლის, შერეული კლასის მოსწავლეებმა VII – X კლასის ჩათვლით 16-მა მოსწავლემ, მონაწილეობა მიიღო ვახანის ციხის ლაშქრობაზე.

რუბრიკაში „გამოჩენილ ხარაგაულელების“ შესახებ ინტერვიუ ვერტყვიქალის ისტორიის მასწავლებელი ბატონი თამაზ გოგოლაძე მოგვითხრობს აწ გარდაცვლილ, წარმოშობით ვერტყვიქალელ, საქართველოს პატრიარქის ქრისტეფორე ციციშვილის მოღვაწეობაზე. ვერტყვიქალის საჯარო სკოლაში მოწყობილია მისი სახელობის მუზეუმი.

მაისის თვეში რუბრიკაში „გამოჩენილ ხარაგაულელების შესახებ“ ინტერვიუ ლია გიორგაძესთან, რომელიც მოგვითხრობს დამსახურებულ ექიმ ბატონ იური ბერაძის მოღვაწეობაზე.

რუბრიკაში „გამოჩენილ ხარაგაულელების შესახებ“ ბალის ყოფილი მეთოდისტი თადული გაჩეჩილაძე მოგვითხრობს დაბის ნომერ პირველ ბალის დამსახურებულ დირექტორ ეთერ კიკნაძის მოღვაწეობის შესახებ.

ვახანის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობა-ტურში და მოინახულეს ქუცუმის მთის მონასტერი, კოზმანის სალოცავი და უბისის ეკლესია-მონასტერი.

ივნისის თვეში ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ორ დღიან ლაშქრობაზე სადაც მოინახულეს ნუნისის მონასტერი „ ბერების კლდე” და ნუნისის გოგირდოვანი აბანოები.

სალანძილის საჯარო სკოლის 10 მოსწავლე იმყოფებოდა ლაშქრობაზე, დევების გამოქვაბულში , ცაშეკრულას კანიონზე, რუთის ჩანჩქერზე და ასევე ხარაგაულის სხვა ღირსშესანავ ადგილებზე.

აღნიშნულ თვეში დაგეგმილია ასევე: იღბლიანი ანკესი (მოყვარულთა შეჯიბრი თევზაობაში)

„კონკურსი ჩატრდება ლელვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ლელვანის ტბაზე, წინასწარ განსაზღვრულ ორ კილომეტრიან მონაკვეთზე .

ორდღიანი ლაშქრობა ეროვნულ პარკში „ხერგილზე და მაისუროვის ბაღში”.
ცაშეკრული კანიონის მისასვლელი გზის გასუფთავება ეკალ - ბარდებისაგან.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიტა ტურიზმის ცენტრი“-ს

დირექტორი:

რევაზ შერგელაშვილი